

## **„იმპიჩირებადის“ არქეოლოგია: რას აღმოვაჩენთ მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციაში**

დავით ზედელაშვილი<sup>1</sup>

### **შესავალი: მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციის არქეოლოგია**

2023 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო დასკვნა, რომლითაც დაადგინა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის 52-ე მუხლის დარღვევა<sup>2</sup>. სასამართლოს დასკვნით, კონსტიტუციის ეს დარღვევა არის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკონსტიტუციო სამართლებრივი საფუძველი.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი დასაწყისიდანვე საეჭვო იყო, როგორც მანიპულაციური, რომელშიც კონსტიტუცია მხოლოდ ინსტრუმენტი ბიძინა ივანიშვილის პერსონალიზებული ძალაუფლების შიდა საჭიროებებისთვის. ეს ეჭვი საკონსტიტუციო სასამართლოში ზეპირი მოსმენების დროს კიდევ უფრო გამყარდა, როცა არსებითი კონსტიტუციური საკითხებისადმი ყურადღების აშკარა ნაკლებობას ანაცვლებდა და ავსებდა პროცესის მონაწილეების, მათ შორის, სასამართლოს მხრიდან, სანახაობისადმი დაუოკებელი ლტოლვა.

გასაკვირი არაა, რომ საჯარო ხელისუფლების სრული მიტაცებისა და ერთი ადამიანის პერსონალური ძალაუფლების ინსტრუმენტად გადაქცევის შემდეგ, ძალაუფლებრივი კონფლიქტები თუ მათი სიმულაციები წვრილმან პიროვნულ კინკლაობამდე დაიყვანება. ესაა შეფასება, რომელიც შესაძლებელია ძალაუფლების პირამიდის ყველა საფეხურზე გავავრცელოთ.

---

<sup>1</sup> კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“) მკვლევარი, e-mail: [d.zedelashvili@ug.edu.ge](mailto:d.zedelashvili@ug.edu.ge)

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე, N3/1/1797, 16 ოქტომბერი 2023. „დასკვნა“.

დღევანდელ საქართველოში, ავტორიტარულ რეჟიმად ფორმალური კლასიფიკაციის ზღურბლზე მდგომ<sup>3</sup> ილიბერალური ბელადის დემოკრატიაში, ძალაუფლების ყველა ასპექტი სრულად პერსონალიზებულია. ამ რეალობაში, კონსტიტუციის აბსტრაქტული, იმპერსონალური ენა, რომელიც სწორედ პერსონალიზებული ძალაუფლების იმპერსონალურ და არათვითნებურ ძალაუფლებად ქცევის ამბიციით შეიქმნა, ახლა საჯარო ძალაუფლების უზურპატორთა უსახურ სახეებზე ჩამოხეული ლედვის ფოთოლივით ჰკიდია.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის სამდღიანმა სხდომებმა უხვად შექმნა ტაბლოიდური მედიისთვის შესაფერისი შინაარსი, რომელმაც სატელევიზიო და ციფრული მედიასივრცეები გააჯერა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს პროცესი ღირებული საკონსტიტუციო არგუმენტაციის წყარო ვერ გახდა.

ჩვენს სხვა ნაშრომებში განვიხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო წლების იურისპრუდენცია, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება ილიბერალური რეჟიმით მიტაცებული სასამართლოს მიერ<sup>4</sup>. ამ ამხსნელობით თეორიულ ჩარჩოს ქმნის როგორც პლებისციტარული ბელადის დემოკრატის ფარგლებში, ბელადის პერსონალიზებული ძალაუფლების მიერ კონსტიტუციის ინსტრუმენტალიზაციისა და ინსტიტუტების, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოების მიტაცების პრაქტიკები<sup>5</sup>, ისე ავტორიტარული რეჟიმების მიერ საკუთარი ძალაუფლების მიზნებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოების ინსტრუმენტალიზაციის მდიდარი პრაქტიკა<sup>6</sup>.

ბელადის პერსონალიზებული ძალაუფლების სამსახურში ჩამდგარი საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის პარადიგმა ბოროტად გამოყენებისაა იმდენად, რამდენადაც საკუთარი

<sup>3</sup> Freedom House-ის მონაცემებით, 2023 წელს, საქართველოს დემოკრატის ქულა არის 3.04. <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023>

Freedom House -ის მეთოდოლოგიის მიხედვით, 3.00 ქულიდან ქვეყანა კლასიფიცირდება ნახევრად კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმად. <https://freedomhouse.org/reports/nations-transit/nations-transit-methodology>

ცნობისთვის, 2022-დან 2023 წლამდე საქართველოს დემოკრატის ქულა შემცირდა 3.07-დან 3.04-მდე.

<sup>4</sup> დავით ზედელაშვილი, სამართლის უზენაესობა,, ქამელეონი სასამართლოს“ იურისპრუდენციაში – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტის შესახებ, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XV გამოცემა, 2021, გვ. 80-107.

დავით ზედელაშვილი, როცა მეამინდე შტორმისას გლალატობს - სამოქალაქო საზოგადოება და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება, Gnomon Wise, 13.02.2021, <https://gnomonwise.org/ge/publications/opinions/38>

<sup>5</sup> Sajó, András. Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy. Cambridge Studies in Constitutional Law. Cambridge: Cambridge University Press, 2021. doi:10.1017/9781108952996.

<sup>6</sup> დევიდ ლანდაუ და როზალინდ დიქსონი, სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XV გამოცემა, 2021, გვ.3-79.

საქმიანობის ნორმატიულ გამართლებას კვლავ კონსტიტუციური დემოკრატიის პრინციპებსა და ნორმებს აფუძნებს, მათზე პარაზიტულად არის ჩამოკიდებული. პარაზიტული ქცევა ეფუძნება თაღლითურ შიდა პერსპექტივას კონსტიტუციისა და მისი ღირებულებების მიმართ.

კონსტიტუციით თაღლითობა გულისხმობს მისი დანაწესების მოჩვენებითი დაცვით, კონსტიტუციის სულიკვეთებისა და ძირითადი შინაარსის ხელყოფას, მის ქცევას ბელადის პერსონალიზებული ძალაუფლების ინსტრუმენტად. პრეზიდენტის იმპიჩმენტის წარდგინებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაც სწორედ ამ უკანასკნელ პარადიგმაში უნდა განვიხილოთ.

სამართლის თეორეტიკოსებს შორის არსებობს უთანხმოება იმის შესახებ, თუ რამდენად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციას<sup>7</sup>. ნორმატიული კონსტიტუციური თეორიისა და მასზე დაფუძნებული კონსტიტუციური დოქტრინის შექმნის მიზნებისთვის, ეს მართლაც უსარგებლო სამუშაო იქნება. შინაგანი თანმიმდევრულობის, კონსტიტუციური იდეალებისა და პრინციპების სრულყოფისკენ სწრაფვის მიზანი, რაც ნორმატიულ კონსტიტუციურ თეორიასა და მასზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ დოქტრინას ახასიათებს, უცხოა კონსტიტუციის ბოროტად გამოყენების თაღლითური პრაქტიკისთვის. ეს უკანასკნელი არათანმიმდევრული, შინაგანად წინააღმდეგობრივი და უმეტესად თვითდესტრუქციულია.

თუმცა, მეორე მხრივ, მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციის განხილვა, სულ მცირე, ემპირიულ ღირებულებას ატარებს. ამ პროცესში წარმოჩნდება როგორც მისი არათანმიმდევრულობა, შინაგანი წინააღმდეგობები და კონსტიტუციასთან არსებითად თაღლითური მიმართება, ისე ამ იურისპრუდენციის შემქმნელი სასამართლოს მიტაცებული მდგომარეობა და პერსონალიზებული ძალაუფლებისადმი დაქვემდებარება.

შესაბამისად, მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციის შესწავლა ერთგვარი არქეოლოგიური ოპერაციაა, რომელიც, უმეტესად, ზედაპირზევე ტარდება. გადაფერთხავს რა მტვერმოყრილ საკონსტიტუციო არგუმენტებს, ეს არქეოლოგიური გათხრები სადაც მიადგება და გათხრის, იქ წარმოაჩენს ამ იურისპრუდენციის ნამდვილ საწყისს, წყაროს, სათავეს (ἀρχή - archē), ბელადის ძალაუფლების გორგონას თავს.

<sup>7</sup> Jakab, András: Bringing a Hammer to the Chess Board: Why Doctrinal-Conceptual Legal Thinking is Futile in Dealing with Autocratizing Regimes, VerfBlog, 2020/6/25, <https://verfassungsblog.de/bringing-a-hammer-to-the-chess-board/>, DOI: 10.17176/20200626-003815-0.

## მორჩილი სასამართლოს გამართლების ძიებაში

მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციის ცენტრალური ელემენტი არის ასეთი სასამართლოების მცდელობა, ნორმატიული გამართლება მოუძებნონ საკუთარ დამორჩილებულ მდგომარეობას<sup>8</sup>. კონსტიტუციის ბოროტად გამოყენების პარადიგმა ამ შემთხვევაშიც ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპებსა და ინსტიტუტებში ეძებს ხელმოსაჭიდს, რათა კონსტიტუციის სულისკვეთების ხელყოფა კონსტიტუციისვე დაცვად წარმოაჩინოს.

ნორმატიული კონსტიტუციური თეორია იცნობს სამოსამართლო თვითშეზღუდვის<sup>9</sup>, ხელისუფლების პოლიტიკური შტოებისადმი დათმობისა<sup>10</sup> და პოლიტიკური საკითხის დოქტრინებს<sup>11</sup>. ამ დოქტრინების ნორმატიული გამართლება შეესატყვისება კონსტიტუციური დემოკრატიის ძირითად პრინციპებსა და იდეალებს, მათ შორის, ხელისუფლების დანაწილებისა და შეკავებისა და გაწონასწორების დოქტრინებს.

თვითშეზღუდვის, დათმობისა და პოლიტიკური საკითხის დოქტრინები ამოდიან საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ცენტრალური ფუნქციიდან სამართლებრივ კონსტიტუციონალიზმში და ცდილობენ თანმიმდევრული კონსტიტუციური დისციპლინის შემუშავებას, რომელიც სამოსამართლო ძალაუფლების თვითნებურად გამოყენებისა და პოლიტიკური ხელისუფლების უფლებამოსილებებში შეჭრის რისკების დამზღვევი იქნებოდა.

თუმცა, თავად კონსტიტუციური დემოკრატიის ფარგლებშიც, ეს დოქტრინები სასამართლოს კონსტიტუციური როლის შესახებ, თავიანთ ბნელ მხარესაც ავლენენ. სასამართლოები ზოგჯერ ვერ უძლებენ ძლიერი პოლიტიკური შტოების გავლენას და ჩათრევის ჩაცოლად წარმოაჩენენ. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამართლის თეორეტიკოსები ერთმანეთისგან მიჯნავენ დათმობის პოლიტიკის ნაირსახეობებს. კერძოდ: დათმობას, როგორც მორჩილებას და დათმობას, როგორც პატივისცემას<sup>12</sup>.

<sup>8</sup> Castillo-Ortiz, Pablo. "The illiberal abuse of constitutional courts in Europe." *European Constitutional Law Review* 15, no. 1 (2019): 48-72.

<sup>9</sup> Posner, Richard A. "The rise and fall of judicial self-restraint." *California Law Review* (2012): 519-556.

<sup>10</sup> Elinson, Gregory A., and Jonathan S. Gould. "The Politics of Deference." *Vand. L. Rev.* 75 (2022): 475.

<sup>11</sup> Harrison, John. "The political question doctrines." *Am. UL Rev.* 67 (2017): 457.

<sup>12</sup> Dyzenhaus, David. *The Constitution of Law: Legality in a Time of Emergency*. Cambridge: Cambridge University Press, 2006. doi:10.1017/CBO9780511618246.

სასამართლოს მიერ დათმობა, როგორც პატივისცემა, გულისხმობს პოლიტიკური ხელისუფლების შტოს უპირატესი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის აღიარებას და სასამართლო ზედამხედველობის შეზღუდულ ფარგლებსა და მიზნებს ამ უფლებამოსილების განხორციელებასთან მიმართებით. დათმობა, როგორც პატივისცემა, არ არის სასამართლოს მიერ თავის ფუნქციაზე სრულად უარის თქმა. ამ პარადიგმაში როგორც სასამართლო, ისე პოლიტიკური შტოები პატივს სცემენ საკუთარ კონსტიტუციურ როლებს და საერთო მიზნების მქონე კონსტიტუციურ პროექტში თავს აღიქვამენ თანასწორ, თუმცა განსხვავებული ფუნქციისა და უფლებამოსილების მქონე მონაწილეებად.

თავის მხრივ, მიტაცებული სასამართლოები ხალისით ითავისებენ დათმობის, როგორც მორჩილების, დოქტრინას. ეს ასეა მაშინაც, როდესაც, სინამდვილეში, სასამართლო რეჟიმის აქტიურ ინსტრუმენტად გვევლინება და არა - უმოქმედობით ხელშემწყობად. სამოსამართლო თვითშეზღუდვა კონსტიტუციურ დემოკრატიაში სასამართლოს ინსტიტუციური ძლიერების პოზიციიდან კეთდება. მიტაცებული სასამართლოები კი პირიქით, თვითშეზღუდვის გამართლებისას საკუთარი ინსტიტუციური უძღურების მტკიცებაში ხარჯავენ მთელ ძალისხმევას.

იმპიჩმენტის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაც პოლიტიკური ხელისუფლების შტოებისადმი (რეჟიმის საკვანძო ძალაუფლებრივი ინსტრუმენტებისადმი) საკუთარი მორჩილებისა და მოწიწების დემონსტრაციაა. თავისი ინსტიტუციური უძღურების მტკიცებით, სასამართლო, ერთი მხრივ, რეჟიმს უმტკიცებს ერთგულებას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობას იცილებს იმ შედეგებზე, რომლებიც მისი ამ დასკვნით დგება.

საკუთარ კონსტიტუციურ ფუნქციას სასამართლო პირველივე იურისდიქციული მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტისას ამცრობს<sup>13</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოები, ისევე, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავიანთ წინა გადაწყვეტილებებში თანხმდებიან, რომ კონსტიტუციის ცნებებს ავტონომიური შინაარსი აქვს. კონსტიტუციისთვის ავტონომიური შინაარსის მინიჭება, პირველ რიგში, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას ემსახურება და არა - საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ძალაუფლების გაფართოებას.

---

<sup>13</sup> იხილეთ ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით, პარაგრაფები 2, 50-54.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ექვსი მოსამართლისგან შემდგარ უმრავლესობას კონსტიტუციური ცნებებისთვის ავტონომიური შინაარსის მინიჭება სწორედ ასე ესმის: „სასამართლოს მიაჩნია, რომ, თუ იგი უფრო ვიწროდ განმარტავდა „კონსტიტუციის დარღვევას“ ან „დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებას“ იმ კრიტერიუმების გამოყენებით, თუ როგორი დარღვევა იმსახურებს მისი ჩამდენის თანამდებობიდან გადაყენებას და როგორი არა, ამით იგი სასამართლოზე დაქვემდებარებულს გახდიდა თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაჭრას...“<sup>14</sup>.

იმპიჩმენტის საქმის სასამართლოს უმრავლესობას უკიდურესობამდე მიჰყავს ეს წინააღმდეგობრივი ლოგიკა და ამტკიცებს, რომ „კონსტიტუციის დარღვევის“ და „დანაშაულის ნიშნების“ ავტონომიური განმარტება „იქნებოდა პირდაპირი შეჭრა პარლამენტის კომპეტენციაში...“<sup>15</sup> ნორმატიული კონსტიტუციური თეორიის თვალსაზრისით, ის, რაც სასამართლოს უმრავლესობის მიერ პარლამენტის კომპეტენციაში შეჭრად განიხილება, საკანონმდებლო ორგანოს ძალაუფლების გაძლიერებაა, რომელიც მას პოტენციურად კონსტიტუციაზე მაღლა აყენებს და კონსტიტუციის უზენაესობას (უზენაესი კანონის ძალას) ხელყოფს.

სასამართლოს უმრავლესობის მსჯელობის შინაგანი წინააღმდეგობები ამით არ სრულდება. მათი კონტრარგუმენტი კონსტიტუციის უზენაესობის ხელყოფასა და პარლამენტის ძალაუფლების გაზრდაზე ეფუძნება მტკიცებას, რომ ეს ძალაუფლება პარლამენტს თავად კონსტიტუციამ მიანიჭა.

ამ არგუმენტს რამდენიმე ელემენტი აქვს: ა) იმპიჩმენტის პროცედურის მკაცრად გამიჯვნა სამართლებრივ და პოლიტიკურ ნაწილებად<sup>16</sup>, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. კერძოდ, იმპიჩმენტის სამართლებრივი ნაწილის წესებსა და სტანდარტებს სამართლებრივად შემზღუდავი ხასიათი არ გააჩნია იმპიჩმენტის პოლიტიკური ნაწილის განხორციელებაზე, რაც პარლამენტის აბსოლუტურ დისკრეციაში არის მოქცეული. ბ) პარლამენტის აბსოლუტური დისკრეცია იმპიჩმენტის პროცედურის პოლიტიკურ ნაწილზე გულისხმობს როგორც კონსტიტუციური სტანდარტის დადგენის, ისე მისი გამოყენების ექსკლუზიურ და უკონტროლო უფლებამოსილებას.

<sup>14</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფი 21.

<sup>15</sup> Ibid.

<sup>16</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფი 18.

კერძოდ, სასამართლოს უმრავლესობის მიხედვით, პარლამენტის (კვალიფიციური) უმრავლესობა განსაზღვრავს იმასაც, კონსტიტუციის რომელი დარღვევა და რომელი დანაშაულის ნიშნების არსებობა არის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი და ამ სტანდარტებს იყენებს კონკრეტულ შემთხვევებშიც, კერძოდ, პოლიტიკური მიზანშეწონილობით განსაზღვრავს, იმსახურებს, თუ - არა თანამდებობის პირი თანამდებობიდან გადაყენებას<sup>17</sup>.

სასამართლოს ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ტერმინებს - „კონსტიტუციის დარღვევა“ და „დანაშაულის ნიშნები“ - მართლაც აქვს ავტონომიური კონსტიტუციური შინაარსი, ოღონდ ამ შინაარსს პარლამენტი განსაზღვრავს და არა - სასამართლო. სამართლებრივი კონსტიტუციონალიზმის ნორმატიული თეორიისთვის ამ სრულად შეუთავსებელ ნაბიჯს, კონსტიტუციის ინტერპრეტაციაზე საბოლოო უფლებამოსილების დათმობასა და მისი პარლამენტისთვის გადაცემას, საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობა ნორმატიულ კონსტიტუციურ არგუმენტს ვერ უპირისპირებს.

სასამართლოს უმრავლესობის ცენტრალური არგუმენტი ტექსტობრივია, თუმცა ისიც კოჭლი. სასამართლოს დასაბუთების ძირითადი ხაზი ეყრდნობა მტკიცებას, რომ „კონსტიტუციის დარღვევა“ და „დანაშაულის ნიშნები“ აუცილებლად სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

თუმცა აქ სასამართლო თავადვე იკარგება საკუთარ არგუმენტაციაში. კერძოდ, სასამართლო ამტკიცებს, რომ ცნებების - „კონსტიტუციის დარღვევა“ და „დანაშაულის ნიშნები“ - სიტყვასიტყვითი ან ორდინალური მნიშვნელობა (ამ ტერმინებს სასამართლო სინონიმებად იყენებს, რაც ასევე საეჭვოა) გამორიცხავს მათთვის ავტონომიური შინაარსის მინიჭებას. საბოლოოდ, ამ ცნებებისთვის ავტონომიური შინაარსის მინიჭებას საკუთარ თავს მხოლოდ სასამართლო უკრძალავს, როგორც თვითონ უწოდებს, იმპიჩმენტის პროცედურის „სამართლებრივი ნაწილის“ მიზნებისთვის. თუმცა, როგორც ვნახეთ, იგივე არ ვრცელდება პარლამენტზე, რომელიც პროცედურის პოლიტიკურ ნაწილში უფლებამოსილია ამ ცნებებს ავტონომიური შინაარსი შესძინოს. სასამართლოს ლოგიკას რომ მივყვეთ, კონსტიტუციის ტექსტი მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ზღუდავს და არა პარლამენტს: აბსურდული მტკიცება ნორმატიული კონსტიტუციური თეორიის მიხედვით.

---

<sup>17</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფები 20-23.

ასევე, სამართლებრივი კონსტიტუციონალიზმის ნორმატიულ თეორიასთან შეუთავსებელია სასამართლოს ინსტიტუციური არგუმენტები საბოლოო ინტერპრეტაციული უფლებამოსილების<sup>18</sup> პარლამენტისადმი გადაცემის სასარგებლოდ. სასამართლო ამტკიცებს, რომ ის უფლებამოსილი იქნებოდა, თავად მიენიჭებინა ტერმინებისთვის - „კონსტიტუციის დარღვევა“ და „დანაშაულის ნიშნები“ - ავტონომიური მნიშვნელობა, თუ იმპიჩმენტის გზით თანამდებობიდან გადაყენების საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ექნებოდა, ან პარლამენტის გადაწყვეტილების ex post სასამართლო კონტროლი იქნებოდა შესაძლებელი.

თუ სასამართლოს ამ არგუმენტს სამართლებრივი კონსტიტუციონალიზმის ნორმატიული თეორიის შუქზე წავიკითხავთ, პირიქით, ამ კონსტიტუციური ცნებების სასამართლოს მიერ ავტონომიური შინაარსით განმარტების მხარდამჭერი იქნებოდა. თუ კონსტიტუციის უზენაესობის დაცვისთვის აუცილებელია კონსტიტუციას ჰქონდეს ავტონომიური შინაარსი და ამ შინაარსის განმარტებაზე საბოლოო უფლებამოსილებას საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო ფლობდეს, სასამართლოს ამ უფლებამოსილების სხვა კონსტიტუციური ორგანოსთვის გადაცემა არ შეუძლია ისეთი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, რომელზეც საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის, იმდენად, რამდენადაც ეს კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საბოლოო უფლებამოსილების გადაცემა იქნებოდა.

კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საბოლოო უფლებამოსილების გადაცემის შეუთავსებლობა კონსტიტუციის ნორმატიულ და სტრუქტურულ ლოგიკასთან სასამართლოს მსჯელობის სხვა წინააღმდეგობებშიც ვლინდება. კერძოდ, სასამართლო მრავალგზის ამტკიცებს, რომ იმპიჩმენტის საკითხზე პარლამენტი საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე იღებს. თუმცა სასამართლო არსად აზუსტებს, რომ ის პარლამენტს, რეალურად, ორ დამოუკიდებელ უფლებამოსილებას გადასცემს: სტანდარტის დადგენის (თუ კონსტიტუციის რომელი დარღვევა ან რომელი დანაშაულის ნიშნები არის პრეზიდენტის გადაყენებისთვის საკმარისი საფუძველი) და ამ სტანდარტის საფუძველზე, კონკრეტულ საქმეებში გადაწყვეტილების მიღების.

კონკრეტული პირების თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაწყვეტა მართლაც პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპებით წყდება, თუმცა სასამართლო ბუნდოვანია იმასთან დაკავშირებით, მოქმედებს, თუ - არა პოლიტიკური მიზანშეწონილობის ლოგიკა

<sup>18</sup> Schauer, Frederick. "The Annoying Constitution: Implications for the Allocation of Interpretive Authority." *Wm. & Mary L. Rev.* 58 (2016): 1689.



პარლამენტის მიერ კონსტიტუციური სტანდარტის დადგენის დროსაც. ამ მხრივ, სასამართლო ვრცლად ურჩევს პარლამენტს, თუ როგორ უნდა განახორციელოს სტანდარტების დამდგენი დისკრეცია.<sup>19</sup>

ეს, ერთი მხრივ, მიაჩნდება, რომ სასამართლო თავადაც არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ პარლამენტისთვის გადაცემული უფლებამოსილება პოლიტიკური მიზანშეწონილობით უნდა გადაწყდეს და შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტი პარლამენტმა პოლიტიკური მიზანშეწონილობით დაადგინოს. მეორე მხრივ, სასამართლოსგან პარლამენტისთვის ჯერ კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საბოლოო უფლებამოსილების გადაცემისა და შემდეგ, იმავე უფლებამოსილების განხორციელებაში დახმარების მიზნით, მრჩევლად შესაძლების მცდელობა, სასამართლოს მიერ თავის დამცირების უნიკალური ჟესტია, რომლის ანალოგები სხვა მიტაცებული სასამართლოების იურისპრუდენციაშიც კი ხშირად არ გვხვდება.

საკონსტიტუციო სასამართლო თავს არიდებს, ცხადად შეაფასოს იმპიჩმენტის პოლიტიკურ ნაწილში პარლამენტის მიერ დადგენილი სახელმძღვანელო სტანდარტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნება. ასეთ შემთხვევაში, მას ხელიდან გამოეცლება პოლიტიკური საკითხის დოქტრინიდან გამომდინარე ერთ-ერთი ცენტრალური არგუმენტი, რომელიც სასამართლოს აძლევს გამართლებას, პოლიტიკური შტოს საბოლოო გადაწყვეტას მიანდოს ისეთი საკითხი, რომელშიც სასამართლო წესით განსაზღვრადი და გამოყენებადი სამართლებრივი სტანდარტები არ არსებობს. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობის დასაბუთება დოქტრინულად ასეთი დახვეწილიც არ არის და პოლიტიკური საკითხის დოქტრინის ამ უკანასკნელ არგუმენტს ტექსტობრივ არგუმენტთან ერთად მოიხარებს, მისი დამატებითი განვრცობის გარეშე.

იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო აირჩევდა გზას, ემტკიცებინა, რომ არ არსებობს სასამართლოს მიერ განსაზღვრადი საკონსტიტუციო სამართლებრივი სტანდარტები, რომლებითაც შეგვიძლია გავმიჯნოთ, კონსტიტუციის რა სახის დარღვევისთვის შეიძლება იმსახურებდეს პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებას, ის ამ საქმეში ისეთივე წარუმატებელი იქნებოდა, როგორც ტექსტობრივი არგუმენტის ჩამოყალიბების ნაწილში.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დასკვნა, ისევე, როგორც მისი მიტაცების შემდგომი იურისპრუდენცია, უხვად მოიცავს პარლამენტისადმი უკიდურესი მოწინების ენასა და ჟესტებს.

---

<sup>19</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფი 23.

პოსტკომუნისტურ კონტექსტში ამ უპირობო მორჩილებას თავისი წყარო აქვს: სოციალისტური კანონიერების მემკვიდრეობა. სოციალისტური კანონიერების იდეალი სამართლის სისტემის ყველა თანამდებობის პირს, მოსამართლეების ჩათვლით, კანონმდებლის უტყვ მორჩილებას ავალდებულებდა.

ასე იყო ინსტიტუციურად შეფუთული სამართლის სისტემის სრული ინსტრუმენტალიზაცია კომუნისტური პარტიის მიერ. კონსტიტუციურ დემოკრატიაზე ტრანზიციის წარმატებული მაგალითები პოსტკომუნისტურ ევროპაში სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოების ფლაგმანობით შედგა, სასამართლოებისა, რომლებმაც სოციალისტური კანონიერების მემკვიდრეობა დაძლიეს და კონსტიტუციის უზენაესობის დისციპლინის აღსრულება მოახერხეს<sup>20</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვსი მოსამართლის უმრავლესობისთვის, როგორც სოციალისტური კანონიერების ღირსეული მემკვიდრეებისთვის, კარგადაა ცნობილი, რომ, როდესაც ახსენებენ კანონმდებელს (კონსტიტუციურ კანონმდებელსაც), იგულისხმება პარტია, ხოლო როდესაც ახსენებენ „პარტიას, გულისხმობენ ლენინს.“ დასკვნის ტექსტში, ისევე, როგორც ზეპირ განხილვებზე, კანონმდებლისადმი მოწიწებას პერსონალიზებული ადრესატები ჰყავს: რეჟიმის მმართველი პარტია და მისი ბელადი.

მმართველი პარტიის მოქმედი თავმჯდომარე ასევე მიღებულია, როგორც რეჟიმის მიერ ერთპიროვნულად გადაწერილი კონსტიტუციის<sup>21</sup> „მამა“. სასამართლოსთვის კონსტიტუციის განმარტების მთავარ წყაროდ სწორედ კონსტიტუციის „მამათა“ მოსაზრებები იქცევა. „საკონსტიტუციო კომისიის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერების მოსმენამ სასამართლო დაარწმუნა“,<sup>22</sup> - მთავარი არგუმენტია კონსტიტუციის განმარტებების საკვანძო საკითხებზე, მაგალითად, პრეზიდენტის უფლებამოსილების შინაარსთან და ფარგლებთან მიმართებით. სტენოგრაფიულ ჩანაწერებში მოსმენილი კონსტიტუციის „მამების“ „ორიგინალური განზრახვები“<sup>23</sup> არსაიდან, ყოველგვარი ნორმატიული თუ სხვა გამართლების გარეშე

<sup>20</sup> Blokker, Paul. "The (Re-) Emergence of Constitutionalism in East Central Europe." In *Thinking through Transition*, pp. 139-167. Central European University Press, 2015.

<sup>21</sup> Zedelashvili, Davit, Georgia's Further Slide towards Illiberal Constitutionalism? -The Art of Thinly Veiled Constitutional Appearances, ConstitutionNet.org, June 26, 2017, <https://constitutionnet.org/news/georgias-further-slide-towards-illiberal-constitutionalism-art-thinly-veiled-constitutional>

<sup>22</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფები 30 და 49.

<sup>23</sup> „ორიგინალური განზრახვის“ თეორიის უარყოფის მიზეზებზე აშშ-ის კონსტიტუციურ დოქტრინაში იხილეთ: Barnett, Randy E. "The Gravitational Force of Originalism." *Fordham L. Rev.* 82 (2013): 411.

გვევლინება კონსტიტუციის განმარტების მთავარ და სასამართლოსთვის ყველაზე ავტორიტეტულ მეთოდად.

კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ფუნქციის აბდიკაციით, სასამართლო კონსტიტუციონალიზმთან შეუთავსებელ, თუმცა, სხვა მხრივ, თანმიმდევრულ მორჩილებას ავლენს კანონმდებლის წინაშე. თუმცა საკუთარი მორჩილების გამართლება სასურველი შედეგისთვის საკმარისი არ არის, შემდეგი ნაბიჯი პრეზიდენტის მორჩილების კონსტიტუციური გამართლების პოვნაა.

### **მორჩილი სასამართლოდან მორჩილ პრეზიდენტამდე**

დაადგინა რა, რომ კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა შესაძლოა გახდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის გზით თანამდებობიდან გადაყენების საკონსტიტუციო სამართლებრივი საფუძველი, საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობამ სწრაფადვე გადაინაცვლა ამ საფუძვლის შექმნაზე. სასამართლოს, ცხადია, არ დაავიწყდა პასუხისმგებლობის მოხსნა შესაძლო შედეგზე იმის ხაზგასმით, რომ პარლამენტის დისკრეცია იმ სტანდარტის განსაზღვრა, თუ რამდენად საკმარისია სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი საფუძველი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადასაყენებლად.

სასამართლოს უმრავლესობამ დასკვნაში განმარტა პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლები საგარეო ურთიერთობებში, უფრო ზუსტად კი - უფლებამოსილების უქონლობა. ამისთვის სასამართლომ განმარტა პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, სტატუსი და მისი უფლებამოსილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში. სასამართლოს უმრავლესობის დასკვნით, პრეზიდენტს საგარეო პოლიტიკის სფეროში (როგორც შემუშავებაში, ისე განხორციელებაში) არ გააჩნია როგორც დამოუკიდებელი, ისე - საზიარო უფლებამოსილებები.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის სიტყვები - „მთავრობის თანხმობით“ - საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განიმარტება, როგორც საგარეო ურთიერთობების განხორციელებაში მთავრობის ექსკლუზიური უფლებამოსილება, სადაც პრეზიდენტს მთავრობის ინსტრუმენტის ფუნქცია აქვს. გამოიყენებს, თუ - არა მთავრობა პრეზიდენტს, როგორც საგარეო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტს, სასამართლოს მსჯელობით, სრულად მთავრობის დისკრეციაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეზიდენტისა და მთავრობის საგარეო ურთიერთობებში უფლებამოსილებების ამგვარი გამოიჯვნა რამდენიმე არგუმენტს ემყარება. სასამართლოს დასაბუთების ძირითადი დერძი დგას მმართველობის საპარლამენტო რეჟიმისა და ამ სისტემაში ძალაუფლების დანაწილების მისეულ ინტერპრეტაციაზე<sup>24</sup>.

საპარლამენტო სისტემისა და მასში ძალაუფლების დანაწილების შესახებ სასამართლოს თეორიული წიაღსვლები ისევე სანახევროდ გამომცხვარია, როგორც დასკვნის მთელი ტექსტი. საპარლამენტო რეჟიმებში არაპირდაპირ არჩეული პრეზიდენტი მართლაც მოკლებულია აღმასრულებელ ძალაუფლებას. თუმცა სახელმწიფო მეთაურის ცერემონიული და სიმბოლური ფუნქციები არც შინაარსობრივად და ცლილი და არც პრეზიდენტს აქცევს საჯარო ძალაუფლების სხვა ინსტიტუტის მორჩილ ინსტრუმენტად, როგორც ეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობას ესმის<sup>25</sup>.

სახელმწიფოს მეთაურობა, მაშინაც კი, როდესაც მას ერთმევა აღმასრულებელი ძალაუფლება, ინარჩუნებს აღმასრულებელი ფუნქციის ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც შინაარსობრივად განუყოფელია სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციისგან და მათ განხორციელებაში პრეზიდენტის თანამონაწილეობა აუცილებლად მიიჩნევა. საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი ფუნქცია ერთ-ერთი ასეთი უფლებამოსილებაა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციას ახდენს, სახელმწიფოს მეთაურებს, მთავრობის მეთაურებთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად, არ სჭირდებათ სრული უფლებამოსილების დადასტურება საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, სახელმწიფოს მეთაური სრული უფლებამოსილებით წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში<sup>26</sup>, კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას, იმის მიუხედავად, თუ როგორია კონკრეტულ სახელმწიფოში ძალაუფლების შიდა კონსტიტუციური ბალანსი.

საერთაშორისო სამართლის ეს მიდგომა ეფუძნება დამკვიდრებულ წესს, რომ შიდა სახელმწიფოებრივ მოწყობაში ძალაუფლების განსხვავებული ბალანსის მიუხედავად, სახელმწიფოებს ერთმანეთისგან აქვთ მოლოდინი, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში

<sup>24</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფები 24-57.

<sup>25</sup> დასკვნა, სქოლიო 1, პარაგრაფი 45.

<sup>26</sup> Vienna Convention on the Law of Treaties 1969, Article 7(2).

სახელმწიფო „ერთ ხმაში“ ისაუბრებს<sup>27</sup>. ამის გათვალისწინებით, ფუჭია საქართველოს დღევანდელი მმართველის რეჟიმის მოლოდინი, რომ სხვა სახელმწიფოები თავს დაივალდებულებენ, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დასკვნა წაიკითხონ და პრეზიდენტს არ უმასპინძლონ, თუ ის კვლავ მთავრობის ნებართვის გარეშე გაბედავს ვიზიტს.

არც ერთი პარტნიორი თუ არაპარტნიორი კეთილსინდისიერად მოქმედი სახელმწიფო არ ჩაერევა სხვა სახელმწიფოს შიდა ძალაუფლებრივ ბრძოლებში. მას არც ამის ვალდებულება აქვს. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ცხადი წესი და დიპლომატიური პროტოკოლის წესები ამ სახელმწიფოებისთვის საკმარისია, რომ სხვა სახელმწიფოს მეთაურს უფლებამოსილების შემოწმების გარეშე შეხვდნენ.

სამწუხაროა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა ამ მხრივაც კოჭლია და საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ამ საქმის გადაწყვეტისთვის არსებითად მნიშვნელოვან საკითხებს საერთოდ არ განიხილავს.

სწორედ საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოს მხრიდან „ერთ ხმაში“ საუბრის იმპერატივი და აქედან გამომდინარე მიზანი, რომ, ძალაუფლების შტოების მრავალხმიანობით, საერთაშორისო ურთიერთობებში უხერხულობა არ შეიქმნას, წარმოქმნის ძალაუფლების შტოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გზით „ერთხმიანობის“ უზრუნველყოფის კონსტიტუციურ ვალდებულებას.

ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება განსაკუთრებით ძლიერია, როდესაც კონსტიტუცია საერთაშორისო ურთიერთობებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას საზიაროდ განსაზღვრავს<sup>28</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დასაბუთების გარეშე უარყოფს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საზიაროა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის და მას სრულად მთავრობის უფლებამოსილების სფეროში მოაქცევს. პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს გაგებით, მხოლოდ მთავრობის ინსტრუმენტი ამ უფლებამოსილების განხორციელებაში და არა ამ უფლებამოსილების სუბიექტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობას, როგორც მისი მსჯელობიდან ჩანს, არ შეუძლია წარმოიდგინოს საზიარო უფლებამოსილება, რომელიც ამ უფლებამოსილების სუბიექტებს შორის ასიმეტრიულად არის განაწილებული. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლო

<sup>27</sup> იხილეთ: United States v. Curtiss-Wright Export Corp., 299 U.S. 304 (1936); Dames & Moore v. Regan, 453 U.S. 654 (1981).

<sup>28</sup> იხილეთ: Constitutional Tribunal Of Poland, DECISION of 20 May 2009, 78/5/A/2009, Ref. No. Kpt 2/08

საზიარო უფლებამოსილების ასიმეტრიულად განაწილებას მთავრობასა და პრეზიდენტს შორის ძალაუფლებისა და სტატუსის ასიმეტრიად თარგმნის და პრეზიდენტს აღიქვამს მთავრობის ინსტრუმენტად, რომლის კონსტიტუციური ფუნქციაც, საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობის აზრით, მხოლოდ მთავრობისგან დირექტივების მიღება და მისი ზედმიწევნით შესრულებაა.

ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის ამგვარი მოუხეშავი წაკითხვა კონსტიტუციური თეორიისთვის უცხოა, სულ მცირე, „ფედერალისტთა წერილების“ შემდეგ. რა განსხვავებაც უნდა იყოს მათ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებში, საჯარო ძალაუფლების ყველა კონსტიტუციური ინსტიტუტი თანასწორი საკონსტიტუციო-სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს და მათი, როგორც მეორისადმი დაქვემდებარებულის, დამორჩილებულის, დირექტივის შემსრულებელი ინსტრუმენტის განხილვა ძირს უთხრის ძალაუფლების დანაწილების დოქტრინისა და მთლიანად კონსტიტუციონალიზმის სულიკვეთებას.

ძალაუფლების შტოები კონსტიტუციურ თეორიაში მოიხსენიება, როგორც თანასწორი და თანამშრომელი („კოორდინირებადი“ - ამერიკული კონსტიტუციური ჟარგონით). მათ აქვთ როგორც თანამშრომლობის ზოგადი კონსტიტუციური ვალდებულება, ისე საზიარო უფლებამოსილების განხორციელების დროს თანამშრომლობის ვალდებულება.

თანასწორ კონსტიტუციურ ინსტიტუტებს, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის საზიარო უფლებამოსილების ასიმეტრიული განაწილების პირობებში (ცხადია, რომ საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე ძირითადი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობას აქვს. თავისთავად, ეს მტკიცება არსებითად სადავო არ შეიძლება იყოს), მათ შორის თანამშრომლობის ვალდებულების შინაარსის განსაზღვრა, ამ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფოკუსი უნდა ყოფილიყო. არსებითი სტანდარტის დადგენის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს ის კონკრეტული საქმის გარემოებებში უნდა გამოეყენებინა.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლო აღმოაჩენდა იმას, რაც მის მიერ ზედაპირულად გამოკვლეულ ფაქტებშიც კი ჩანს: საგარეო ურთიერთობების წარმოებზე პირველადი კონსტიტუციური პასუხისმგებლობის მქონე ორგანოს, საქართველოს მთავრობას, არ გააჩნია არავითარი რაციონალური, ინსტიტუციონალიზებული პროცესი, რომელის ფარგლებშიც ის საგარეო პოლიტიკას ახორციელებს და რაც უზრუნველყოფდა საქართველოს პრეზიდენტთან საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში თანამშრომლობის კონსტიტუციური ვალდებულების

შესრულებას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გაუჭირდებოდა ისეთივე თავდაჯერებით დაედგინა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, როგორც ის თავის დასკვნაში ადგენს.

მორჩილი პრეზიდენტის ნორმატიული გამართლების მცდელობა, რასაც საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობა გვთავაზობს, ეფუძნება საპარლამენტო მმართველობის სისტემისა და მასში ძალაუფლების დანაწილების დოქტრინის კარიკატურას. ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის გამოყენება ერთი კონსტიტუციური ინსტიტუტის მეორისთვის დამორჩილებისა და ინსტრუმენტალიზაციის გასამართლებლად, ამ დოქტრინის ბოროტად გამოყენების ყველაზე უხეში შემთხვევაა, რადგან მის სულისკვეთებასა და ცენტრალურ ნორმატიულ მიზნებს ხელყოფს.

ზოგადად, შეკავებისა და გაწონასწორების დოქტრინისთვის უცხო არ არის ასიმეტრიულად გადანაწილებული საზიარო უფლებამოსილებები. თუმცა ასიმეტრია უფლებამოსილებებში არასდროს არის ერთი ინსტიტუტის მიერ მეორის დაქვემდებარების ნორმატიული გამართლება. მაგალითისთვის, იმავე საპარლამენტო მმართველობის სისტემებში, მთავრობა პარლამენტის განგრძობად ნდობაზეა დამოკიდებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობა პარლამენტის ინსტრუმენტია.

პარლამენტსა და მთავრობას შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, საპარლამენტო მმართველობის სისტემებში ძალაუფლების დანაწილების დოქტრინა ხისტ სახეს ვერასდროს მიიღებს (არსებობს გავრცელებული მოსაზრებაც, რომ წმინდა სახით ძალაუფლების დანაწილების დოქტრინა საპარლამენტო რეჟიმთან შეუთავსებელია). თუმცა, პოლიტიკურ შტოებს შორის მჭიდრო კავშირის პირობებში, საპარლამენტო რეჟიმები გვთავაზობენ ძალაუფლების ბალანსის განსხვავებულ, ხშირად, ინოვაციურ მექანიზმებს<sup>29</sup>.

ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია საპარლამენტო სისტემებში აღმასრულებელი ფუნქციის ბირთვის აღიარება და მისი ავტონომიურობის დაცვა, მათ შორის, პარლამენტის მხრიდან შეჭრისგან<sup>30</sup>. გერმანიის ფედერაციულ საკონსტიტუციო სასამართლოს ხშირად უწევდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ბუნდესტაგისა და მთავრობის უფლებამოსილებების გამიჯვნა. ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ამ საქმეებში შეიმუშავა როგორც

<sup>29</sup> Albert, Richard. "Presidential values in parliamentary democracies." *International Journal of Constitutional Law* 8, no. 2 (2010): 207-236.

<sup>30</sup> Martinez, Jenny S. "Inherent executive power: A comparative perspective." *Yale LJ* 115 (2005): 2480.

ბუნდესტაგის უფლებამოსილების დაცვის მექანიზმები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკვანძო გადაწყვეტილებების მიღების ნაწილში, ისე მექანიზმები საგარეო პოლიტიკის განხორციელების არსებითად აღმასრულებელ ფუნქციაში ბუნდესტაგის შეჭრის აღსაკვეთად<sup>31</sup>.

საპარლამენტო სისტემებში ძალაუფლების დანაწილების დოქტრინის ინსტიტუციური არქიტექტურა უფრო რთული და ნიუანსურია, ვიდრე ამას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოგვიდგენს. პოლიტიკური ძალაუფლების შტოების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, ძალაუფლების ხისტი გამიჯვნა შეუძლებელია და ის თანამშრომლობისა და საზიარო უფლებამოსილებების ლოგიკით ჩანაცვლდება.

საპარლამენტო სისტემებში (განსაკუთრებით კი ე.წ. პრემიერ-საპრეზიდენტო შერეულ სისტემებში, სადაც პრეზიდენტი პირდაპირ არის არჩეული) საგარეო ურთიერთობების სფეროში მთავრობასა და სახელმწიფოს მეთაურს შორის საზიარო უფლებამოსილების განაწილება, ამ უკანასკნელის ასიმეტრიულობისა და მთავრობის უპირატესი როლის მიუხედავად, მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის კონსტიტუციურ პრინციპს შეიძლება დაეფუძნოს.

მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება კონსტიტუციური ინსტიტუტების თანასწორობისა და ერთმანეთის კონსტიტუციური ფუნქციების ურთიერთაღიარებას. ეს გამორიცხავს უფლებამოსილების ასიმეტრიის ბოროტად გამოყენებას, სხვა კონსტიტუციური ინსტიტუტის დამორჩილებისა და მისი ინსტრუმენტალიზაციის მიზნებისთვის.

საპარლამენტო რეჟიმებში არაპირდაპირ არჩეული სახელმწიფოს მეთაურები ინარჩუნებენ არა მხოლოდ სუვერენიტეტის სიმბოლური რეპრეზენტაციის, არამედ მისი დაცვის ფუნქციასაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს „სიმბოლურობა“ ბუტაფორიულობად ესმის, ბუტაფორიამ კი ნამდვილი ძალაუფლების ცენტრს მორჩილად უნდა მოუხაროს ქედი. საპარლამენტო დემოკრატიის ლოგიკა, რომელიც კონსტიტუციონალიზმის დოქტრინას ეფუძნება, შორსაა ამ იდეისგან.

საპარლამენტო სისტემებში, როდესაც საგარეო ურთიერთობების განხორციელებაში პრეზიდენტის მონაწილეობის საკითხი წყდება, მთავრობა, მიუხედავად ამ ფუნქციის განხორციელებაში უპირატესი როლისა, ვალდებულია ითანამშრომლოს პრეზიდენტთან, როგორც თანასწორ და არა მასზე დაქვემდებარებულ კონსტიტუციურ ინსტიტუტთან. მთავრობა

---

<sup>31</sup> Kommers, Donald P., and Russell A. Miller. *The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany: Revised and Expanded*. Duke University Press, 2012.p. 189.



ვალდებულია, პრეზიდენტთან თანამშრომლობით შექმნას ინსტიტუციონალიზებული პროცესი, რომლის ფარგლებშიც ეს თანამშრომლობა განხორციელდება.

ძალაუფლების დანაწილების დოქტრინის ლოგიკა მთავრობას ავალდებულებს, გამოავლინოს პატივისცემა პრეზიდენტის პოზიციებისა და არგუმენტების მიმართ, განსაკუთრებით, ისეთ თემებზე, რომლებიც პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებების ბირთვს შეადგენს (მაგ., სუვერენიტეტის დაცვა). მთავრობა, ცხადია, არ არის ვალდებული, გაიზიაროს პრეზიდენტის პოზიციები გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა მას კონსტიტუცია ავალდებულებს, რომ, სულ მცირე, პატივისცემით მოეკიდოს ამ პოზიციებს და შექმნას ინსტიტუციონალიზებული პროცესი, სადაც პრეზიდენტს თავისი პოზიციების წარმოდგენისა და საგარეო პოლიტიკის სათანადოდ განხორციელებაში ჩართვის საშუალება ექნება.

ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ იმ კონტექსტებში, რომლებშიც ასეთი ინსტიტუციონალიზებული პროცესები არ არსებობს, პრეზიდენტებსა და მთავრობებს შორის, საგარეო ურთიერთობების განხორციელების საკითხზე, მუდმივი კონფლიქტი არსებობს<sup>32</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელმაც იმთავითვე უარყო თანამშრომლობის კონსტიტუციური ვალდებულებისა და კონსტიტუციურ ინსტიტუტთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის კონსტიტუციური ჩარჩო, საერთოდ უმნიშვნელოა ამგვარი ინსტიტუციონალიზებული პროცესის აუცილებლობაზე მითითება, ან მსგავსი პროცესის ფაქტობრივი არსებობის გამოკვლევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დამაკმაყოფილებელია პრეზიდენტსა და მთავრობას შორის წერილებით ურთიერთობის ფორმატი, სადაც მთავრობა, შეხედულებისამებრ, გასცემს, ან არ გასცემს თანხმობას. ინსტიტუციონალიზებული პროცესის არარსებობის პირობებში, სასამართლოს არ აინტერესებს, როგორ უნდა განახორციელოს პრეზიდენტმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სათანადოდ, თუ მასსა და მთავრობას შორის, ნებართვის მოთხოვნისა და გაცემის წერილების ურთიერგაცვლის გარდა, არავითარი შინაარსობრივი თანამშრომლობა არ შემდგარა.

ამ მხრივ, სასამართლოს უმრავლესობა „თანმიმდევრულია“ თანასწორობის საფუძველზე თანამშრომლობისა და შტოებს შორის ურთიერთპატივისცემის პრინციპების უარყოფაში.

<sup>32</sup> Raunio, Tapio, and Thomas Sedelius. "Presidents and cabinets: coordinating executive leadership in premier-presidential regimes." *Political Studies Review* 18, no. 1 (2020): 53-70.

შედეგად ვიღებთ პრეზიდენტს, რომლის უფლებამოსილებებსაც შინაარსი აღარ გააჩნია და მისი ინსტიტუციური არსებობა მხოლოდ ინსტრუმენტული მოსაზრებებით თუ გამართლდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობა უკომპრომისოა როგორც საკუთარი მორჩილების, ისე პრეზიდენტის მორჩილების ნორმატიული გამართლების მცდელობაში, რომელიც, ნორმატიული კონსტიტუციური თეორიის თვალსაზრისით, ხშირად აბსურდამდე მიდის.

## დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა პრეზიდენტის იმპიჩმენტის შუამდგომლობაზე, მიტაცებული სასამართლოს შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშია. სასამართლო, კონსტიტუციის სულისკვეთებისა და ტექსტის დაცვის საბაბით, კონსტიტუციის ფუნდამენტურ ლოგიკას უთხრის ძირს. საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების ეს შემთხვევაც ამოიცინობა კონსტიტუციური თეორიისა და დოქტრინის შუქზე მკაცრი და თანმიმდევრული შემოწმებით.

სასამართლოს უმრავლესობის მიერ შემოტანილი ნეოლოგიზმი, „იმპიჩირებადი“, ბოროტად გამოყენების პრაქტიკის კარგი მეტაფორული ილუსტრაციაა. ამ ტერმინის წარმომავლობის წყაროც ვიცით, თითქოს ისიც ჩანს, რასაც შეიძლება ნიშნავდეს, თუმცა მაინც უხერხულად გვჭრის ყურს. რასაც ტერმინი „იმპიჩირებადი“ უკეთეს ქართულ ენას, როცა უცხო სხეულის მოკვეთილი კიდურივით სახელდახელოდ მიემაგრება და მონსტრად წარმოაჩენს, იმავეს უკეთეს მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენცია საქართველოს კონსტიტუციას. მორჩილი სასამართლოსა და მორჩილი პრეზიდენტის ნორმატიული გამართლებების ფაბრიკაციები საქართველოს კონსტიტუციის სხეულზე მიკერებული უცხო ნაწილებია, რომლებსაც, ნეკროზის გარდა, არაფრის მოტანა არ შეუძლია.

შედეგად ვიღებთ ზომბად ქცეულ კონსტიტუციას, რომლის ერთადერთი მიზანია, პერსონალიზებული ძალაუფლება საკუთარ ცოცხალმკვდარ სხეულში მუდმივად ამყოფოს.